სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

ლერი ჯიბლაძე[1]
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.15

შრომითი ორგანიზაციისა და დანაწილების საკითხები კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში საუბარია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე შრომითი ორგანიზაციის მოწყობის საკითხებზე, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე, ცენტრალური ბორცვების, ნამოსახლართა კომპლექსების, საარხო სისტემების წარმოქმნაზე და ა. შ. ცხადია, ბრინჯაოს ხანაში შრომითი ორგანიზაციის მოწყობა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ფართო ხასიათს ვერ მიიღებდა, რადგან ნამოსახლართა მასშტაბები არ იყო ვრცელი. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა მრავალრიცხოვანი არ იქნებოდა. ეს პრობლემა უფრო მიესადაგება წინაანტიკურ ხანას, როდესაც განსაკუთრებით მრავლდება მოსახლეობა და მათი საცხოვრებელი ფართობები აღწევს დაახლოებით 10-15,20 ჰა.

კოლხეთში ადრეანტიკურ ხანაში სხვა ტიპის დასახლებებთან ერთად, სწორედ დიხა-გუძუბათა მსხვილ გაერთიანებებს უნდა შეემზადებინა ნიადაგი სახელმწიფოს წარმოქმნისათვის.

ხელოვნურად გამართულ ბორცვ-ნამოსახლარებს ზოგჯერ შემოუყვება 10, 15 და 50 მეტრის სიგანისა და 2-3 მეტრის სიღრმის არხები, რომლის ამოღებას ხელმძღვანელობდა მკაცრ შრომით ორგანიზაციაზე დაფუძნებული გვარი თუ თემი და მათ წიაღში წარმოქმნილი ლიდერები.

ადრერკინის ხანაში კოლხეთში დაბლობზე ჩნდება მძივების დასამზადებელი საწარმოო სახელოსნოები, რომლებიც ემყარებოდა ადგილობრივი

[1] **ლერი ჯიბლაძე,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნერ თანამშრომელი.

მდიდარი ნედლეულის ბაზას. აქ დამზადებული პროდუქცია არ უნდა ყოფილიყო გამიზნული მარტო შიდა მოხმარებისათვის, არამედ იგი წარმოადგენდა ექსპორტის საგანს. ამ ტიპის ნამოსახლარებზე მძივების დასამზადებელი იარაღ-ინსტრუმენტებისა და ამ დარგის განვითარებასთან დაკავშირებული ნივთების აღმოჩენის ფაქტები შრომის დიდ საზოგადოებრივ დანაწილება-ორგანიზაციას და პროფესიონალ ხელოსანთა არსებობას გულისხმობს.

საკვანძო სიტყვები: კოლხეთის დაბლობი, ნამოსახლარები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა, შრომითი ორგანიზაცია.

Leri Jibladze[2]

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Issues of Labor Organization and Distribution among Inhabitants of Colchis Plain in the Late Bronze – Early Iron Age

Abstract. The present article discusses the issues connected with organizing the labor arrangement, social division of labor, formation of settlement complexes, channel systems, etc., among the settlers of the Colchis plain in the Late Bronze - Early Iron Age. It is obvious that the organization of labor and public division of labor could not have had a wide character in the Bronze Age as the scale of the settlements was not extensive. This problem is more relevant to the pre-Antique period.

Along with other types of settlements in Colchis in the Early Antique period, large unions of Dikhagudzubs had to prepare the ground for formation of the state. Artificially held hill-settlements are sometimes surrounded by 10, 15 and 50 meters wide and 2-3 meters deep canals, the removal of which was led by a clan or community, based on a strict labor organization.

In the Early Iron Age, bead-making workshops appeared on the Colchis plain which were based on rich local raw materials. The production made there should not have been intended only for the domestic consumptions, they were export items as well. The facts of discovery of necklaces - making tools and instruments related to the development of that field in that type of settlements, indicate to a large social division - organization of labor and existence of professional artisans.

Keywords: Kolkheti Plain, Settlements, Late Bronze-Earth Iron Age, labor Organization.

[2] **Leri Jibladze**, Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities.

შესავალი. სადღეისოდ არსებული მონაცემების მიხედვით კოლხეთის დაბლობზე ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. III-II ათასწლეულები), ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლართა კომპლექსები არ გვხვდება. უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ განმხოლოებით მდგომი ცალკეული დიხა-გუძუბები გამოიყოფა.[3] ცენტრალური ბორცვები და მათში შემავალი ნამოსახლართა სისტემები ჩნდება წინაანტიკურ ხანაში (დაახლოებით ძვ. წ. VIII-VII სს-ები), როდესაც კოლხეთის დაბლობის ტერიტორია იფარება ხელოვნურად გამართული სამოსახლო ბორცვებით, ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდებთან შედარებით დასახლებები უფრო მასშტაბური ხდება, იზრდება მათი ფართობები, შედარებით იხვეწება ხელოვნურ გამაგრებათა სისტემები და ა. შ.

წინამდებარე სტატიაში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე მცხოვრები მოსახლეობის კოლექტიური შრომითი ორგანიზაციის მოწყობის საკითხებზე, მათი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე, ცენტრალური ბორცვების, ნამოსახლართა კომპლექსების, საარხო სისტემების წარმოქმნაზე და ამ საკითხებთან დაკავშირებულ სხვა არაერთ პრობლემურ საკითხზე. ცხადია, ბრინჯაოს ხანაში შრომითი ორგანიზაციის მოწყობა და მისი საზოგადოებრივი დანაწილება ფართო ხასიათს ვერ მიიღებდა, რადგან ნამოსახლართა მასშტაბები არ იყო ვრცელი და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობა ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანი არ იქნებოდა. ეს პრობლემა უფრო მიესადაგება წინაანტიკურ ხანას,როდესაც დასახლებათა ფართობები იზრდება და მრავლდება მოსახლეობა.

დისიკუსია. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა კულტურული ფენების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ კატეგორიის ძეგლების მაცხოვრებლები ერთდროულად იყვნენ როგორც მიწათმოქმედნი, ასევე მეტალურგები. მისდევდნენ მონადირეობასა და თევზჭერას. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის სიმცირის გამო მათში არ უნდა ყოფილიყო შრომის დარგების დანაწილება და ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე ხელოვნურად გამართული გუძუბათა კონცენტრაცია შეინიშნება მდ. რიონ-ფიჩორის, აბაშა-ნოღელის, ენგურ-

[3] სამეგრელოში ხელოვნურად გამართული ბორცვების აღმნიშვნელად გვხვდება სხვადასხვა სახელები: დიხა-გუძუბა, დიხა-ზურგა, ზურგა, ზუგა, ზურგანი, ნაკარღალი, ნამარნუ, ნაჯიხუ და ა. შ. ხშირად ისინი უკავშირდება სოფლებს, უბნებს, გვარებს, მდინარეებს. მაგ. კეკელიების ზუგა, ნაჭვის ზურგა, ლუკას ნოხორი, ნაგოგუე, ჯალაღონიაში და სხვ. (ჯიბლაძე, 2007: 186-187, ტაბ. I; ჯიბლაძე, პაპუაშვილი, 2013: 100-112). აქვე შევნიშნავთ, რომ ხელოვნური ბორცვების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ამ საკითხზე დეტალურად იხილეთ შემაჯამებელი ნაშრომი (ჯიბლაძე, პაპუაშვილი, 2013: 100-112).

ერისწყლის, ცივი-ხობის, ჩოლოქ-ოჩხამურის, ყორანთა წყლის-მუნჩიას აუზებში (გრიგოლია, 1992: 31). დღევანდელი მონაცემებით ჩრდილო-დასავლეთით მათი გავრცელების უკიდურესი საზღვარია ტამიშის (ოჩამჩირის რ-ნი), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ნამჭედურისა და ჩოლოქისპირა ნამოსახლარები (ქობულეთის რ-ნი).

ადრეანტიკურ ხანაში სხვა ტიპის დასახლებებთან ერთად, სწორედ დიხა-გუძუბათა მსხვილ გაერთიანებებს (ჩოლოქ-ნამჭედური, ფიჩორის ნამოსახლართა სისტემა, ნამარნუ, ერგეტის ტერიტორიაზე კონცენტრირებული სამოსახლო ბორცვები და სხვ.) უნდა შეემზადებინა ნიადაგი კოლხეთის ტერიტორიაზე სახელმწიფოს წარმოქმნისათვის (მუსხელიშვილი და სხვ. 2010: 17).

ხელოვნურად გამართული ბორცვებისათვის დამახასიათებელია ჯგუფებად განლაგება მდინარეების ან ძველი ნამდინარევი კალაპოტების გასწვრივ, ერთ საკომუნიკაციო ხაზზე (ჯიბლაძე, 1997: 56). უმეტესად კონფიგურაციითა და მდებარეობით გამოირჩევა ცენტრალური ბორცვი, რომლის ირგვლივ განლაგებულია შედარებით მცირე ზომის თანამგზავრი გუძუბები (ჯიბლაძე, 2007: 31). მთავარი ბორცვების დიამეტრია 80-150 მ., ხოლო მცირე ბორცვების 30-80 მ., სიმაღლე მერყეობს 3-7 მ შორის (გამყრელიძე, 2020:20). როგორც აღნიშნავენ, ნამოსახლართა დიდი კომპლექსების ფართობი უდრის 10, 15, 20, 25 ჰა.

სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთის დაბლობის ზოგიერთი ნამოსახლარის მაგალითზე ვარაუდობენ, რომ საკვლევ რეგიონში ადრერკინის ხანაში ჩნდება თვისობრივად ახალი განსხვავებული დაბური ტიპის დასახლებები თავის უბნებითა და სახელოსნოებით (ხახუტაიშვილი, 1986: 96). ჩვენთვის ეს მოდელი ასევე მისაღებია ნამარნუს გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკური ხანის ნამოსახლარების კომპლექსთან მიმართებაში. ვფიქრობთ, ამ ძეგლზე კოლხეთის დაბლობის ზოგიერთი ნამოსახლარის სისტემასთან ერთად (ფიჩორი, ნამჭედური) კარგად უნდა იკვეთებოდეს პროტოსახელმწიფოებრივობის[4] წინა პერიოდი. ნამარნუ წინაანტიკურ და ადრეანტიკურ ხანაში ალბათ წარმოადგენდა ერთგვარ პოლიტიკურ და ჰეგემონ ცენტრს (პაპუაშვილი, 2006: 63; ჯიბლაძე და სხვ. 2021: 15), რომლის ორბიტაში მოქცეული უნდა ყოფილიყო მდ. ფიჩორის შუა წელსა და მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული არაერთი ბორცვ-ნამოსახლარი (ნამარნუს „შუამაღალა“, ამავე კომპლექსში შემავალი ჩრდილოეთი და სამხრეთი ბორცვები; გულეიკარის „ნაეკლესიარი“ და „ნაოხვამუ“; სოფ. კეთილარის სასაფლაო და „ნაეკლესიარი“, ანჯერი I, ანჯერი II და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი არ გათხრილა, მაგრამ მოსალოდნელია ამ პერიოდის ფენების აღმოჩენაც.

[4] როგორც ვარაუდობენ, კოლხეთში უკვე ძვ. წ. VII ს-დან ჩამოყალიბებულია სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელსაც ჩირდოფს უწოდებენ (გამყრელიძე, 2020: 19).

ბორცვთა ირგვლივ სადრენაჟო, თავდაცვითი, საკომკუნიკაციო არხების გაჭრა, რომელთა სიფართე ზოგჯერ აღწევს 5, 10, 15, 50-მ, სიღრმე კი ხანდახან 3, 4 მეტრს, მოითხოვდა დიდი სამუშაოების ჩატარებას, რასაც ალბათ აწარმოებდა მტიცე შრომით ორგანიზაციაზე დაფუძნებული საგვარეულო თემი, თუ თემთა გაერთიანებები.[5] მართებულად შენიშნავენ, რომ ასეთი თხრილების ამოღებაში შესაძლოა ჩაბმული ყოფილიყო რამდენიმე მეზობელი თემის გაერთიანებაც (ჯიბლაძე, 2007: 35).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დიდი (ცენტრალური) ბორცვის გამოყოფა კომპლექსში მიუთითებს გარკვეულ სოციალურსა და პოლიტიკურ დიფერენციაციაზე, დაწინაურებული (ჰეგემონი) გვარის დანარჩენთაგან იზოლაციის ტენდენციაზე (ლორთქიფანიძე, 1999: 49; ლორთქიფანიძე, 1986: 66). ზოგიერთი ნამოსახლარის მაგალითზე (ნამჭედური) თვლიან, რომ ყველაზე დიდი ბორცვი, მის გარშემო განლაგებულ სათემო დასახლებათა მეთაური, ჰეგემონი უნდა ყოფილიყო (ხახუტაიშვილი, 1986: 97). ცენტრალური ბორცვის ირგვლივ თავმოყრილი ნამოსახლარები მრავალპროფილიანი სამეურნეო ცხოვრების არსებობაზე მიგვანიშნებს, რომელიც მხოლოდ პატრონყმულ გაერთიანებას თუ ძალუძს (ჩიქოვანი, 2000: 98). ზოგჯერ ვარაუდობენ, რომ ყველაზე მაღალ ბორცვზე გამართული უნდა ყოფილიყო თავდაცვითი და საკულტო ხასიათის ნაგებობები, სადაც მტრის შემოსევის, ანდა სტიქიური უბედურების შემთხვევაში, მის გარშემო განლაგებული ნამოსახლარების მოსახლეობას უნდა შეეფარებინა თავი (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 9; აფაქიძე, 2001:136). ამ საკითხთან მიმართებაში საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული ქუთაისის მხარეში გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კომპაქტურად განლაგებული ბორცვების („არქიელის გორა“, დათიშიძეების უბანი, ვარდისუბანი, განაშვილების გორა, „გოჭურა“) შესახებ. ფიქრობენ, რომ ეს ბორცვები იქცა თავდაპირველ სამოსახლოებად, რომელთა შორის ერთ-ერთი „თავადი ბორცვის სტატუსით“ (ეს იგივე უნდა იყოს რო-

[5] ისმის კითხვა: რა სოციალური ერთობის საკუთრებას წარმოადგენდა კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, აქ აღმოჩენილი ჯარგვალური ან ფაცხის ტიპის სახლები? ამ საკითხზე სხვადასხვა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომელიც ძირითადად ერთმანეთს თანხვდება. თვლიან, რომ დიხა-გუძუბები განეკუთვნებოდა ცალკეულ საოჯახო გვაროვნულ დასახლებებს, ანდა დიდი თუ შედარებით მომცრო ოჯახის კუთვნილებას (Джавахишвили, 1973: 359-360; Куфтин, 1950: 172-173; ინაძე, 1994: 22). მკვლევართა ნაწილს ხელოვნური სამოსახლო ბორცვები მიაჩნია სოფლური (ხუტორული) ხასიათის მატარებლად (ჯაფარიძე, 1982: 89; ფხაკაძე, 1993: 120; ლორთქიფანიძე, 2002: 126). დასაშვებად მიაჩნიათ მათი წარმოშობა გარკვეულ ტომთა გვაროვნული განვითარების საფუძველზე (გამყრელიძე, 1982: 55; გრიგოლია, 1971: 20).

გორც ცენტრალური ბორცვი) გამოირჩეოდა და ის საკულტო-რელიგიურ ცენტრის ფუნქციას ასრულებდა. ასეთი დატვირთვა უნდა ქონოდა „არქიელის გორას“ მოქნილი თავდაცვისუნარიანობის გამო (ლანჩავა, 2015: 41-42).[6]

ვარაუდობენ, რომ ბორცვებზე დასახლებული უნდა ყოფილიყო ერთ გვარში შემავალი რამდენიმე ოჯახი, რომელიც ქმნიდა უფრო განვითარებულ სისტემას (ადამია, 1968: 37). ორი-სამი კილომეტრით დაშორებულ ცალკეულ ბორცვებზე და ფერდობებზე გამართული ნამოსახლარები კი წარმოადგენდა ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში მყოფ საგვარეულო დასახლებათა ერთიან სისტემას. სათემო დასახლების ეს კომპლექსი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას, რომელიც ხშირად ათეულ კილომეტრს შეადგენდა (ადამია, 1979: 39).

ჩვენი მხრიდან დავსძენთ, რომ ცენტრალურ ბორცვებზე თავდაპირველად ცხოვრობდა ერთი დიდი ოჯახის წარმომადგენლები. ჭარბი ქონების დაგროვებისა და მოსახლეობის გამრავლების შედეგად დიდი ოჯახიდან ალბათ ხდებოდა უფრო მცირე ოჯახების გამოყოფა, ცენტრალური გუძუბას ირგვლივ მომიჯნავე ტერიტორიებზე ახალი სამოსახლოების წარმოქმნა. ნამოსახლართა კომპლექსებზე კი ეგებ უკვე ცხოვრობდა ერთი დიდი გვარის წარმომადგენლები. ასეთი დასახლებათა მოდელი წარმოგვიდგენია მდ. ენგურის ქვემო წელში დადასტურებულ ნამოსახლართა სისტემებზე (ფიჩორი, ნაკარღალი, ჯვარალები, განმუხური, მეორე მხრივ, ანაკლია I, II, ერგეტა და სხვა ამ ტიპის ძეგლები), რომლებიც გარკვეულ ქრონოლოგიურ პერიოდში შეიძლება შედიოდა ერთ დიდ თემურ გაერთიანებაში. ეს მოდელი შესაძლოა განვავრცოთ კოლხეთის დაბლობის მთელ რიგ ბრინჯაოს პერიოდის ნამოსახლარებზე. პირველ რიგში მდ. ფიჩორ-რიონის ორმდინარეთსა და ჩოლოქ-ოჩხომურის ხერთვისში კონცენტრირებულ ამ კატეგორიის ძეგლებზე.

ვარაუდობენ, რომ ნამოსახლართა კომპლექსში გამოყოფილი ცენტრალური ბორცვი ტომთა ბელადის, თუ წინამძღოლის და პრივილიგირებული ფენის საცხოვრებელს წარმოადგენდა (ავალიშვილი, 1994: 51). იგი სამოსახლოს მეთაურია, რომელიც მთელი რიგი უფლებებით არის აღჭურვილი: მოსახლეობის

[6] ო. ლანჩავას ვარაუდით, ქუთაისის მხარეში ქალაქად ჩამოყალიბებაში ნამოსახლარებმა განვლეს სხვადასხვა ეტაპი (საფეხური). I ეტაპზე სამოსახლოები წარმოადგენდნენ სასოფლო თემურ დასახლებებს, რომლებიც იყოფოდნენ დიდ ოჯახებად; II ეტაპზე ხდება სამოსახლოების მსხვილი დაბური ტიპის დასახლებებად განვითარება (ძვ. წ. XII-XI) სს-ები; III ეტაპზე-სხვადასხვა დაბური ტიპის სამოსახლოების შეერთებას უნდა მოყოლოდა ერთ ორგანიზმად გაერთიანება და მსხვილი ქალაქური ტიპის სამოსახლოს გაჩენა (IX-VIII სს-ები) (ლანჩავა, 2015: 43). მეცნიერი საკუთრივ ქუთაისის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჯერჯერობით ორ სამოსახლო უბანს გამოყოფს: 1. არქიელის გორა (ბაგრატის ტაძრის მიდამოები) და 2. გაბაშვილების-დათიშიძეების გორა (ქალაქის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ტერიტორია) (ლანჩავა, 2015: 41).

შეკრება საზოგადოებრივ სამუშაოებზე, ჭაობიანი და ტყით დაფარული მასივების გაკაფვა და სავარგულებად ქცევა, ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარება, სადრენაჟო თუ თავდაცვითი დანიშნულების არხების გაჭრა, ხელოვნური მიწაზვინულების შექმნა. შესაბამისად მის ხელთ უნდა ყოფილიყო ზედმეტი პროდუქტის მითვისება და გარკვეული სიმდიდრის დაგროვება (ლორთქიფანიძე, 1986: 62, 66).[7] ცხადია, ეს სამუშაოები ვერ ჩატარდებოდა კარგად ორგანიზებული კოლექტიური შრომის გამოყენების გარეშე, სადაც ჩართული უნდა ყოფილიყო მოსახლეობის ფართო მასები.

ცენტალური ნამოსახლარის გარშემო ბორცვებზე კი სახლობდა საზოგადოების ძირითადი ფენა – თავისუფალი მეთემეები, სადაც საცხოვრებელი ნაგებობების თუ ინვენტარის მიხედვით (ნახევრადმიწურები და ძელური შენობები) იგრძნობა რანგთა ტაბელი (ავალიშვილი, 2004: 7). კომპლექსში შემავალი სხვა დანარჩენი გუძუბები ჩნდება ქრონოლოგიურად მოგვიანო საფეხურზე. ხშირ შემთხვევაში მთავარ ბორცვზე ცხოვრების შეწყვეტისას, ანდა აქედან ჭარბი მოსახლეობის განსახლების შედეგად. ამ ვარაუდებს ბოლომდე ვერ გავიზიარებთ. შევეხოთ პირველ მოსაზრებას. საქმე იმაშია, რომ პროტო და ძველკოლხურ I ეტაპზე ცენტრალური ნამოსახლარები ცალკეა წარმოდგენილი, ხოლო მათ გაერთიანებაში შემავალი სხვა დანარჩენი გუძუბები ჩნდება ქრონოლოგიურად მოგვიანო საფეხურზე. ხშირ შემთხვევაში ცენტრალურ ბორცვზე ცხოვრების შეწყვეტისას, ანდა აქედან ჭარბი მოსახლეობის განსახლების შედეგად (ჯიბლაძე, 2001: 263). თუმცა იშვიათად გვხვდება საწინააღმდეგო სურათიც. მაგ. საგვიჩიოს ბორცვთა წყებაში ცენტრალურ ნამოსახლარად მიჩნეულ დიდ კონძაზე აღმოჩნდა უფრო მოგვიანო ელინისტური და ადრეანტიკური ხანის მასალები, ვიდრე პატარა კონძაზე (ბარამიძე, 1998: 68). ცენტრალურ ბორცვსა და კომპლექსში შემავალ სხვა გუძუბებს შორის ქრონოლოგიური თანხვედრა ხდება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში (ძირითადად ძვ. წ. VIII-VII სს-ებში) (ჯიბლაძე, 2001: 263). ამდენად თუ გავიზიარებთ ოთ. ლორთქიფანიძის ვარაუდს, მაშინ ნამოსახლართა კომპლექსში ცენტრალური ბორცვის ჰეგემონობა უნდა ვიგულისხმოთ სწორად ამ პერიოდიდან. აღნიშნულ ხანაში იზრდება ნამოსახლართა მასშტაბები, დასახლების ინტენსიურობა და ხელოვნური გამაგრება (ჯიბლაძე, 2007: 32).

[7] კოლხეთის დაბლობზე ადრერკინის ხანაში, სამაროვნების მასალების მიხედვით ჯერ ჯერობით არ ჩანს ქონებრივი დიფერენციაციის სურათი. როგორც აღნიშნავენ, ბრილის სამაროვნის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში დასტურდება ბრინჯაოს საზეიმო-სარიტუალო დანიშნულების ცულების ერთი სახეობა (ნახევარმთვარისებური მოყვანილობის და ორმხრივ ყუამილიანტანიანი). ცულების ეს ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში, რომელიც აქ ხელისუფლების ნიშნად და მისი მფლობელის ღვთაებრივი წარმომავლობის მაუწყებლად განიხილებოდა. გ. გობეჯიშვილის აზრით, აქ იმარხებოდნენ „გვარის მეთაურები, რომლებიც იმავ დროს უძველესი ქურუმის მოვალეობის შემსრულებლები“ იყვნენ (ლორთქიფანიძე, 1986: 141).

შესაძლოა, ეს ხანა პროტოურბანისტული ცივილიზაციის დასაწყისადაც ჩავთვალოთ. სწორედ ამ წინარეანტიკური ხანის გორა-ნამოსახლარების შემდგომ განვითარების ბაზაზე თვლიან აღმოცენებულად კოლხეთის სამეფოს მსხვილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ საქალაქო ცენტრებს (ვანის ნაქალაქარი, საირხე, მთისძირი, დაფნარი და სხვ.) (გრიგოლია, 1994: 8).

ცხადია, კოლხეთის დაბლობის ჭაობიან ნესტიან ნიადაგზე ცხოვრება, ბუნებასთან ჭიდილი აიძულებდა კოლხ მოსახლეობას თავი დაეცვა წყლის შემოტევისაგან, სინესტისაგან და მუდმივად ეზრუნვა სამოსახლოების დახვეწაზე. ისინი თავის დაცვის მიზნით მუდამ ძიებაში უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ, სადაც განსაკუთრებით ჭაობიანი ადგილები იყო, ძალზე ხშირად მიმართავდნენ მოზვინვებს. ამის მაგალითად გამოდგება კოლხეთის დაბლობის, განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლის, არა ერთი ნამოსახლარი. არასაკმარისი მონაცემების გამო რთულია საუბარი იმაზე, თუ რა მიზეზებმა განაპირობა წინარე კოლხური და ძველი კოლხური მოსახლეობა რომ დასახლებულიყო კოლხეთის დაბლობის ჭაობიან ზოლში. ეს იყო მათი ნებაყოფილებითი მოსვლა, თუ რაიმე ძალამ აიძულა ისინი განსახლებულიყვნენ ამ ტერიტორიაზე. ჩვენ ამაზე პასუხი არ გვაქვს. თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია პალეონოლოგიური მონაცემებიც (პაპუაშვილი, 2014).

კოლხეთის დაბლობის ხელოვნურ სამოსახლო ბორცვებს ზოგჯერ ერთ რიგად, უმრავლესობას კი ორ-სამ წყებად შემოსდევს თხრილი, რომელიც ყოველთვის უერთდება მდინარეს ან ნაკადულს. მათი მეშვეობით კი ზღვას (მხედველობაში გვაქვს ზღვის სიახლოვეს განლაგებული ხელოვნური ბორცვები). ეს ბუნებრივიცაა, რადგან თხრილი და შემდეგ კი უფრო რთული საარხო სისტემები მოითხოვდა გამდინარე წყლით შევსებასა და განახლებას.

საარხო სისტემები კარგადაა შემონახული კოლხეთის დაბლობის მთელ რიგ ნამოსახლართა ირგვლივ.[8] სავარაუდოა, რომ ბორცვზე თხრილის ამოღება დასახლებისთანავე ხდებოდა. დროდადრო კი მის ამოსუფთავებას, განახლება-გაფართოებას აწარმოებდნენ. თხრილებიდან ამოღებული მიწით კი ალბათ იზვინებოდა სამოსახლო ბორცვები. იქმნებოდა სპეციალურად გამართული ჰორიზონტალური მოედნები, სადაც შემდგომში იმართებოდა ჯარგვალური და ფაცხისმაგვარი ნაგებობები. მიღებულია მოსაზრება, რომ კოლხეთის დაბლობის ხელოვნურ ბორცვებზე შემოვლებულ თხრილებს თუ არხებს ერთდროულად რამდენიმე დანიშნულება გააჩნდა. იგი ემსახურებოდა თავდაცვის, სადრენაჟო დანიშნულების, სანაოსნო მიმოსვლისა და თევზჭერის საქმეს (გ. ნიორაძე, ნ.

[8] საინტერესოა ის ფაქტი, რომ კოლხეთის დაბლობის საკარმიდამო ნაკვეთებს, დღესაც ირგვლივ შემოსდევს სადრენაჟო დანიშნულების თხრილები.

ხოშტარია, ო. ჯაფარიძე, ბ. კუფტინი, თ. ჩიქოვანი, მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, ჯ. აფაქიძე, თ. ჩიგოშვილი და სხვ.).[9]

პირველ რიგში უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან თხრილი და არხი. ცენტრალური ნამოსახლარის ირგვლივ (მხედველობაში გვაქვს, როდესაც იგი მარტოა წარმოდგენილი) ავლებენ შედარებით მცირე ზომის თხრილებს, რომელთაც ძირითადად თავდაცვითი და სადრენაჟო დანიშნულება გააჩნდა (Микеладзе, 1990:19). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ნამოსახლარების მასშტაბების ზრდასთან ერთად ხელოვნური თხრილები ფართოვდება, უფრო იხვეწება და სხვა დანიშნულებასთან ერთად ალბათ საარხო, სანაოსნო მიმოსვლის ფუნქციასაც იძენენ. რაც უფრო დიდია ნამოსახლართა კომპლექსი, მით უფრო რთული და სრულყოფილი ხდება საარხო სისტემა. ეს კარგად დასტურდება კოლხეთის დაბლობის ხელოვნურ ნამოსახლართა კომპლექსების მონაცემებით, სადაც ზოგიერთს სამ და ოთხ წყებად შემოსდევს თავდაცვითი და სანაოსნო დანიშნულების საარხო სისტემა. ამის ერთგვარი დასტური უნდა იყოს ფიჩორის, ნამარნუსა და სხვა ხელოვნურ ბორცვებზე შემოვლებული ფართო არხები (და არა თხრილები), რომელიც ყველაზე მეტად ესადაგება სანაოსნო მიმოსვლასა და თავდაცვის საქმეს. ამ ფაქტს მეტ დამაჯერობლობას მატებს სახელგანთქმული ბერძენი ექიმის, მეცნიერული მედიცინის ფუძემდებლის ჰიპოკრატეს (ძვ. წ. V ს.) ცნობილი ნაშრომი „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“. ჰიპოკრატე წერს, რომ ვინც ფასისში ცხოვრობს (ე. ი. კოლხეთის დაბლობზე) მათ შესახებ შემდეგი მაქვს სათქმელი. ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი წყლებით მდიდარია და ხშირი ტყეებითაა დაფარული. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვს. მათი ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი იშვიათად დადიან ფეხით, სამაგიეროდ დაცურავენ აღმა-დაღმა (ან იქით-აქეთ) ერთ ხეში ამოღებული ნავებით (ვარცლა ნავები).[10] დამატებით ჰიპოკრატე აღნიშნავს, რომ იქ არხები ბევრია და იმაზეც დაცურავენ ნავებით (ყაუხჩიშვილი, 1965: 19, 45; გეგეშიძე, 1953: 241). ამის პირდაპირ საბუთად თვლიან, საგვიჩიოს ტერიტორიაზე, არხის ფსკერზე, ადრეანტიკური ხანის მასალებთან ერთად აღმოჩენილ ხის ნიჩაბის ნაწილს (ბარამიძე, 2017: 39). მართალია ეს წყარო შედარებით მოგვიანო ხანისაა, მაგრამ იგი უფრო ადრეულ ეპოქასაც უნდა ეხმაურებოდეს.

შესაძლოა ჰიპოკრატეს ცნობას ერთგვარ დამაჯერებლობას მატებდეს საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცული მონაცემები. კერძოდ, ნ. ხოშტა-

[9] გამოთქმულ მოსაზრებებზე არსებული ლიტერატურა დაწვრილებით იხილეთ (ჯიბლაძე, 2007: 35).

[10] ამ ტიპის ნავები სამეგრელოში ცნობილია „ნუშას“,ან „ნიშის“ სახელით (ყაუხჩიშვილი, 1965: 19).

რიას ცნობით სოფ. ყულევის მოსახლეობა მდ. ცივაზე და ხობზე მიმოსვლისათვის ხშირად იყენებდა ერთ ხეში ამოღებულ ნავს (ხოშტარია, 1946: 76). დაახლოებით მსგავს აზრს ადასტურებს გ. ნიორაძეც (ნიორაძე, 1941: 326). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კი ძველი კოლხებისათვის შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ჰიპოკრატესეული ერთ ხეში ამოღებული ნავების საშუალებით დიდ მდინარეებზე დაღმა და განსაკუთრებით აღმა ცურვა მათი ჩქარი დინების გამო (გრიგოლია, 1994: 7-8).

საყურადღებოა, ვინ ხელმძღვანელობდა თხრილების თუ არხების ამოღებას და რა იარაღებით ხდებოდა ამ მეტად მძიმე და შრომატევადი სამუშაოების შესრულება? ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, ამ სახის სამუშაოებს აწარმოებდა მკაცრ შრომით ორგანიზაციაზე დაფუძნებული გვარი თუ თემი (ლორთქიფანიძე, 1986: 57-76). ვეჭვობთ,რომ ერთი გვარის წარმომადგენლებს გაუჭირდებოდათ 10, 15 და 50 მეტრის სიგანისა და 2-3 მეტრის სიღრმის არხების ამოღება. არ არის გამორიცხული ამ სამუშაოებში ჩართული ყოფილიყო რამდენიმე მეზობელი თემის გაერთიანება (მხედველობაში გვაქვს ფიჩორისა და განსაკუთრებით ნამარნუს მსგავსი საარხო სისტემები).

აღნიშნავენ, რომ ასეთი სამუშაოების წარმოებას წინამძღოლობდნენ გამორჩეული ლიდერები. თავდაცვითი და საცხოვრებელი პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით ხდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაცია, რა დროსაც იკვეთებოდა ერთიანი წინამძღოლი, რომელსაც დანარჩენი ლიდერები ემორჩილებოდნენ (გამყრელიძე, 2020: 20). მისაღებია მეცნიერის მოსაზრება, რომელიც ამგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურას წინასახელმწიფოებრივიდან სახელმწიფოზე გარდამავალ პერიოდს უწოდებს. სრულიად საფუძვლიანი უნდა იყოს გამოთქმული ვარაუდი, რომლის თანახმად სწორედ ასეთმა გაერთიანებებმა ჩაუყარეს საფუძველი კოლხეთში სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათლად ცხადყო, რომ თხრილებით გარშემორტყმული ხელოვნური ბორცვები სპეციპიკური კოლხური მოვლენაა (გამყრელიძე, 2020: 28).

კოლხეთში ადრერკინის ხანაში, ჩნდება თვისობრივად ახალი დაბური ტიპის დასახლებები თავისი სახელოსნო უბნებით.[11] იზრდება ნამოსახლართა მასშტაბები, რომელთაც ირგვლივ ორ-სამ წყებად შემოსდევთ ფართო არხები.

[11] წაგრძელებული ხელოვნური ბორცვები ჩნდება ადრერკინის ხანაში (ძვ. წ. VIII-VII სს.) და არსებობას განაგრძობენ კლასიკური ხანის ჩათვლით (ძვ. წ. VI-III სს.). ეს ის პერიოდია, როდესაც მოსახლეობის გამრავლების შედეგად იზრდება ხელოვნურ ბორცვ-ნამოსახლართა მასშტაბები, ცენტრალური დიხა-გუძუბას ირგვლივ ან მიმდებარე ტერიტორიაზე ჩნდება ხელოვნურად გამართული ასეთი ტიპის ახალი დასახლებები.

.

მატულობს დასახლებათა ინტენსიურობა, ხელოვნური გამაგრებათა სისტემები, მრავლდება მოსახლეობა და იზრდება ერთმანეთზე თავდასხმები. მართებულად შენიშნავენ, რომ ასეთი თხრილების ამოღება მოითხოვდა დიდი სამუშაოების ჩატარებას, რასაც აწარმოებდა მტიცე შრომით ორგანიზაციაზე დაფუძნებული საგვარეულო თემი ან რამდენიმე მეზობელი თემთა გაერთიანება. ყველაფერი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო სამუშაოთა მასშტაბებზე.

კოლხეთის ტერიტორიაზე სხვა პერიოდებთან შედარებით ყველაზე მრავლადაა გამოვლენილი ძვ. კოლხური II ეტაპის (ადრერკინის ხანა) ნამოსახლართა კულტურული ფენები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ნახანძრალი-გადამწვარია. ძლიერ წვას უნდა ადასტურებდეს დანახშირებული ძელები, ბათქაშის გროვები, მოწითალო იატაკები და ხშირად ხანძრის შედეგად დეფორმირებული კერამიკის აღმოჩენა. ვფიქრობთ, ყოველივე ეს უფრო მეტად გამოწვეული უნდა ყოფილიყო ალბათ ქონების დატაცების მიზნით, ხელოვნურად გამართულ ბორცვებზე მეზობლად მაცხოვრებელი ხალხის ერთმანეთზე ხშირი თავდასხმებით, რასაც, ბუნებრივია, თან სდევდა ხანძრის გაჩენა და ხშირი გადაწვები. ამ ფაქტთან დაკავშირებით ზოგადად გამოითქვა მოსაზრება (ე. გოგაძე),[12] რომ კოლხეთის დაბლობზე ხის ნაგებობებს განახლების ნაცვლად სპეციალურად წვავდნენ და ახალ შენობებს აგებდნენ. ხშირად შემორჩენილია ჯარგვალურ ნაგებობასთან დაკავშირებული დაუმწვარი ძელების ქვედა ნაწილი-საძირკველი (თიხნარი ბაქნის გამაგრებასთან დაკავშირებული ძელები) (მუსხელიშვილი და სხვ. 2010: 23). ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში შენობის ნაწილი დაიწვა, ან გადატანილი იქნა სხვა ადგილზე, როგორც ეს კეთდებოდა არცთუ შორეულ წარსულში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (Микеладзе, 1990: 17-18; Микеладзе, 1994: 67). ასეთი ახსნა უფრო ლოგიკური გვეჩვენება, ვიდრე ნაგებობათა სპეციალურად გადაწვა განახლების მიზნით. ეს ის პერიოდია, როდესაც საკვლევ მხარეში იზრდება მოსახლეობა, მრავალრიცხოვანი ხდება ბრინჯაოს საბრძოლო იარაღები, რაც ნათლად ჩანს კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნების მასალების მიხედვით. ბუნებრივია, ეს იარაღები დიხა-გუძუბათა მაცხოვრებლებს უფრო მეტად სჭირდებოდათ ერთმანეთზე თავდასხმებისათვის, ანდა თავის დასაცავად.

საინტერესოა ისეთ განვითარებულ, მაღალი კულტურის მქონე სამიწათმოქმედო ქვეყანაში, როგორიც კოლხეთი იყო რა იარაღებით სრულდებოდა თხრილების, თუ არხების ამოღება და მათი განახლების პროცესი. მარტო თოხი ვერ

[12] ეს მოსაზრება არქეოლოგმა ელ.გოგაძემ ჩვენთან პირად საუბარში გამოთქვა

შეასრულებდა ამ სამუშაოებს. ეს იარაღი არც კი უნდა ყოფილიყო მოსახერხებელი ასეთი სახის სამუშაოების ჩასატარებლად.[13]

როგორც ცნობილია, კოლხეთის დაბლობზე ვიზუალურად არ ჩანს ბარის ფუნქციის მატარებელი იარაღი, რომელსაც ფაქტობრივად უნდა შეესრულებინა თხრილების გაფართოება და ჩაღრმავება, რადგან დროდადრო იგი მოითხოვდა კარგ გამტარიანობას და განახლებას.

კოლხეთის დაბლობზე დიდი საარხო სისტემების გამართვა უნდა ხდებოდეს ადრერკინის ხანაში, როდესაც განსაკუთრებით მრავლდება მოსახლეობა და დასახლებათა ფართობები იზრდება. საინტერესოა, რომ კოლხეთში ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ბარის ტიპის სამუშაო იარაღი არცერთი კატეგორიის ძეგლების მიხედვით (სამაროვნები, განძები, ნამოსახლარები) არ არის ცნობილი. არადა ეს იარაღი უძველეს ცივილიზაციის კერებში (ახლო აღმოსავლეთი, ხმელთაშუაზღვისპირეთი) უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩანს გავრცელებული. ვფიქრობთ, კოლხურ გვიანბრინჯაოს ხანის კულტურაში, ამ სამიწათმოქმედო იარაღს თავისი არსებობის შემთხვევაში უნდა ეჩინა თავი, რადგან დასავლეთ საქართველოს ტერიტორია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის კერების მოსაზღვრე რეგიონია და უძველესი პერიოდიდან ჩართული უნდა ყოფილიყო აქ გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურათა ორბიტაში. ამ რეგიონში მიმდინარე ინოვაციური პროცესები ეჭვგარეშეა თავის ასახვას ადრე თუ გვიან პოვებდა კოლხეთში გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურებში.

შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიაში პირველი რკინის ბარი გვხვდება სომხეთში კარმინბლურში, გვინბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენაში (ძიძიგური, 1994: 291). თუ არა ბარით, მაშინ რა ტიპის იარაღებით უნდა ამოეღოთ თხრილები და არხები? ახლო აღმოსავლეთში ირიგაციული სისტემების შექმნაში მთავარ როლს თოხს ანიჭებდნენ (ლორთქიფანიძე, 1986: 139). კოლხეთის დაბლობზე ძვ. წ. III-II ათასწლეულებში ეს სამუშაოები მართლაც შეიძლებოდა ჩატარებულიყო ფიჩორის, მელექქედურის, მახუნცეთის, ნამჭედურის, ურეკის და სხვა ამის მსგავსი წაწვეტებული, ოვალურპირიანი თოხების მეშვეობით. აგრეთვე ზოგიერთ ძეგლზე (ანაკლია II, ტაბაკონი), აღმოჩენილი იმ ყალიბების ფორმების მიხედვით, სადაც ამ ტიპის ბრინჯაოს თოხები ჩამოისხმეოდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ბარის (ნიჩაბის ტიპის) მოყვანილობის ხის 3 იარაღის

[13] ცნობილია,რომ ამ სამუშაოების ჩასატარებლად ახლო აღმოსავლეთში ფართოდ გამოიყენებოდა ხის ბარი და მიწის გასატანი წნული კალათები (ლორთქიფანიძე 1986:-139). ვფიქრობთ,არსებობის შემთხვევაში ამ სახის არტეფაქტების დამზადება არ უნდა გაჭივრებოდა უძველეს კოლხ მოსახლეობას.

სპილენძის ბარის მაგვარი იარაღები,რომელთაც ფეხის ჩამოსადგამი ადგილი არ გააჩნიათ და ვერტიკალურად ხის ტარის ჩასასმელი აქვთ, გვხვდება ურში (ძვ.წ. XXII-XXI სს-ები) და თურქმენეთის სამხრეთ ნაწილში გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურაში (Семенов, 1974: 66-67, სურ. 22-17, 18, 22).

აღმოჩენა ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით დათარიღებულ ბედენის პლატოს N1 ყორღანში. თუმცა თვლიან, რომ ეს ნივთები გამოიყენებოდა მარცვლეულის გასანიავებლად (ძიძიგური, 2000: 193). საყურადღებოა, რომ ძველ ეგვიპტეში ხის პირგაბრტყელებული თოხებითაც გაყავდათ არხები (ძიძიგური, 2000: 17). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ძვ. წ. III ათასწლეულით დათარიღებული შუმერული ლიტერატურული ძეგლი თოხისა და სახნისის პაექრობის შესახებ, სადაც უპირატესობა თოხს ენიჭება (Андрианов, 1969: 76-77; ლორთქიფანიძე, 1986: 139). აღნიშნავენ, რომ ბარი საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით მხოლოდ შუა საუკუნეებში იწყებს გამოჩენას (ძიძიგური, 2000: 233]. უფრო მოგვიანო პერიოდში რკინის ორი სახეობის ბარი აღმოჩნდა შიდა ქართლში დედოფლის გორაზე, მეორე კულტურულ ფენაში, ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ის სასახლის ნანგრევებში, N12-13 ოთახებში, შრომის სხვა იარაღებთან ერთად (თოდუა, 2005: 72-75, ტაბ. I-2, 3; A. Eurtwängler, და სხვ. 2008: ტაბ. 55-1, 2, 3, 5; ტაბ. 56-6, 7; ტაბ. 59-1, 5].[14] რკინის ბარები და ნიჩბები დამახასიათებელი სამიწათმოქმედო იარაღებია რომაული სამყაროსათვის (Семенов, 1974: სურ. 26-1-12). [15]

სეგმენტურ იარაღებზე მათ სახეობებსა და ფუნქციონალურ დანიშნულებაზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული, რომლის დეტალურ განხილვას არ შევუდგებით.[16] ამ იარაღზე იმიტომ შევჩერდით, რომ სხვა ფუნქციასთან ერთად ფიქრობენ, ბრინჯაოს სეგმენტის ერთ-ერთი სახეობას შესაძლოა შეესრულებინა ბარის დანიშნულებაც. ამ ტიპის იარაღში სამი სახეობაა გამოყოფილი (ქორიძე, 1965: 89-95), რომელიც ლ. ძიძიგურმა რამდენადმე გადააჯგუფა, თუმცა მანაც სამი სახეობა უცვლელად დატოვა: 1. ტრაპეციის ფორმის, 2. ჰორიზონტალურმხრიანი, 3. ბარისებური ფორმის (ძიძიგური, 1994: 74; ძიძიგური, 2000: 230). მკვლევართა გარკვეულ ნაწილს სეგმენტები მიაჩნიათ (ტრაპეციის ფორმის) ტყის გაკაფვისა და ხის დასამუშავებელ იარაღად (გ. ჩიტაია, ლ. სახაროვა, ალ. რამიშვილი) (რამიშვილი, 1974: 66-70; ძიძიგური, 2000: 230). ასევე თვლიან ამ ვარიანტის სეგმენტების გამოყენებას ნიადაგის დასამუშავებელ სათოხნ-სამარგლავ იარაღად (ქორიძე, 1965: 89-95). გ. ნიორაძე სეგმენტების მეორე სახეობას

[14]დედოფლის გორა მდებარეობს ქარელის რ-ში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკად მდ. ფრონეს შესართავთან. აქ სამუშაოებს 1985-2019 წწ. დროგამოშვებით აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. იულონ გაგოშიძის ხელმძღვანელობით.

[15]არქეოლოგმა გ. გოგოჭურმა მოგვაწოდა ცნობა, რომ დედოფლის წყაროში შემთხვევითი აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის რკინის ბარი დაცულია ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე.

[16] ცალკეულ მეცნიერთა გამოთქმული მოსაზრებები ბრინჯაოს სეგმენტის სახეობებზე, მათ ფუნქციონალურ დანიშნულებაზე შეჯამებულია ლ. ძიძიგურის ნაშრომებში (ძიძიგური, 1994: 74; ძიძიგური, 2000: 233).

ცულებად მიიჩნევს. მესამე სახეობას - დიდი ზომის სეგმენტებს კი თვლიან ბარის, ან ნიჩბის ფუნქციის მატარებლად (გ. ნიორაძე, ბ. კუფტინი, დ. ქორიძე, ოთ. ღამბაშიძე, გ. ჩიტაია, ნ. ხოშტარია, ო. ჯაფარიძე, ა. კალანდაძე, გ. გობეჯიშვილი და სხვ.) (ძიძიგური, 2000: 233).

როგორც შენიშნავენ, მესამე სახეობის სეგმენტისებრი იარაღები ყველაზე ადრე წარმოდგენილია ძვ.წ. XIV-XIII სე-ბით დათარიღებულ განძებში (სოხუმის მთა, ვაკიჯვარი, ციხისძირი-სამება, ოფშკვითი, ზემო სიმონეთი, თელოვანი და სხვ.) (ძიძიგური, 2000: 231). მკვლევართა ნაწილი (ე. პახომოვა, ა. იესენი, მ. ივაშჩენკო, ბ. კუფტინი, გ. ლორთქიფანიძე) სეგმენტს თვლიან ფულის ერთეულად. დასაშვებად მიაჩნიათ ბრინჯაოს სეგმენტს თავის დროზე შეესრულებინა მარტივი სახნისის ფუნქციაც (ძიძიგური, 2000: 234, 236, 239). გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სეგმენტის ფორმა არ იძლევა მასზე ტარის მჭიდროდ დამაგრების საშუალებას.

კარგად მოწესრიგებული და გამართული შრომითი ორგანიზაციის საკითხები კარგად უნდა დასტურდებოდეს კოლხეთის მთიანეთში არსებული სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან, ზღვისპირა ზოლში განლაგებული ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებში, სპილენძის ნედლეულით მომარაგებისა და ტრანსპორტირების საკითხებში. ეს პუნქტები ერთმანეთისგან დაშორებულია საკმაოდ დიდ მანძილზე. მაგალითად ფიჩორის, ყულევის ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების კერები და აფხაზეთის, სვანეთის, რაჭის სამთამადნო წარმოების ძეგლები. ასეთ შემთხვევაში მათ შორის კავშირები ძალზე გაძნელდებოდა თუ არ იქნებოდა კარგად მოგვარებული სატრანსპორტო საშუალებებისა და კოლექტიური შრომითი ორგანიზაციის მოწყობის საკითხები, რომელიც სავარაუდოდ იგეგმებოდა დასახლებებთან არსებულ სასოფლო თემთა გაერთიანებებში. აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების მაგალითზე, ეს პრობლემა შესაძლოა უფრო ადვილი გადასაწყვეტი ყოფილიყო, რადგან ლითონჩამომსხმელი სახელოსნოები თავისი გვერდით გულისხმობენ მადნის გადამამუშავებელ წარმოებასაც. ამ რეგიონში ძველი სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან, ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებში სპილენძის ნედლეულის ტრანსპორტირებისას დასაშვებად მიაჩნიათ ცხენის გამოყენება, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან ფართოდ ჩანს გავრცელებული (ფიცხელაური, 1973: 92). ამ მხრივ კოლხეთის დაბლობის გვიანბრინჯაოს ხანის სხვადასხვა კატეგორიის ძეგლი (სამარხეული კომპლექსები, განძები, ნამოსახლარები) თითქმის არ იძლევა ხელისშესახებ მასალებს. კოლხეთის დაბლობზე გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნები (ძვ. წ. XV-X სს-ები) ცნობილი არ არის. საერთოდ კი, კოლხეთში ბრინჯაოს ცხენზე ამხედრებული ქალისა და მხედრის ქანდაკებები ცნობილია ძვ. წ. X-VII სს-ებიდან (ერგეტის N1 სამაროვნის N5 სამარხი, მუხურჩის სამაროვანი, სოფ. ცაგერას განძი). ეს ფაქტი კი კოლხეთში ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან

გარკვეულად უნდა მიუთითებდეს ცხენოსნობის არსებობაზე. აქ ერთი შემთხვევაც არ დასტურდება ცხენთან ან ცხენოსნობასთან დაკავშირებული ინვენტარის აღმოჩენისა (ჯიბლაძე, 2007: 92). შესაძლოა მართებული იყოს მოსაზრება, რომლის თანახმადაც კოლხეთის დაბლობზე ცხენოსნობის განუვითარებლობას უკავშირებენ დაჭაობებულ ბუნებრივ გარემოს (რ. პაპუაშვილი). ამდენად, კოლხეთში შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში სპილენძის მადნის ტრანსპორტირებისას ცხენის გამოყენების ფაქტორი უნდა გამოირიცხოს. აღნიშნულ პერიოდებში დასაშვებია ამ საქმეში ხარით სარგებლობა, რომლის კულტზე და გამწევი ძალის გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს არაერთ ძეგლზე აღმოჩენილი თიხის, ბრინჯაოს ქანდაკებები, ხის სახვნელები და ა. შ.

სხვა საკითხია, რამდენად მისაწვდომი უნდა ყოფილიყო კოლხეთის მთიანეთიდან ბარში სპილენძის ტრანსპორტირებისას ამ ცხოველის გამოყენება მდინარეთა ხევისპირა ან ხეობათა ფსკერზე გამავალი მოუხერხებელი საცალფეხო ბილიკებით. ჩვენთვის უფრო მისაღებია ცალფა უღლიანი ხარის გამოყენება ზედ გადაკიდებული ტყავის ტომრებით. ეს ცხოველი უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო ასეთი სამუშაოების წარმოებისათვის. პარალელურად ამ საქმეში მონაწილეობას ალბათ ღებულობდნენ მკაცრ შრომით ორგანიზაციაზე დაფუძნებული სასოფლო თემის მიერ გამოყოფილი ადამიანთა ჯუფები, რომლებიც ბართან დამაკავშირებელ საკომუნიკაციო გზებზე, სავარაუდოდ არსებული საშუამავლო პუნქტებით ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. ადამიანთა ერთი ჯგუფი მიიტანდა სპილენძის ნედლეულს გარკვეულ ადგილზე, რომელსაც შეენაცვლებოდა მეორე ჯგუფი და ასე სავარაუდოდ მიმდინარეობდა ეს შრომატევადი და მეტად მძიმე სამუშაოები (პაპუაშვილი, ჯიბლაძე: 2014: 185).

კოლხეთის ბარსა და მთიანეთს შორის მიმდინარე გაცვლა-გამოცვლით პროცესებს ალბათ არეგულირებდა და ხელმძღვანელობდა ხელოვნურად გამართული ბორცვთა სისტემებთან არსებული მტიცე შრომით ორგანიზაციაზე დაფუძნებული საგვარეულო თემი, თუ თემთა გაერთიანებები. ამ ორ მხარეს შორის ასეთ მჭიდრო კონტაქტებზე უნდა მიუთითებდეს კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო საწარმოო სახელოსნოების სპილენძის ზოდებით მომარაგება. როგორც ცნობილია, სპილენძის ზოდები გვხვდება როგორც ცალკეული აღმოჩენების მიხედვით, ასევე შედიან განძების შემადგენლობაში. კოლხეთში ზოგჯერ წარმოდგენილია მარტო ზოდებისგან შემდგარი განძები (დაახლოებით 15-16 ერთეული). ასევე ისინი დასტურდებიან სხვა ფუნქციონალური დანიშნულების ნივთებთან ერთად შერეული სახით (34-35 ერთეული).[17]

[17] კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები აღმოჩენილია დაახლოებით 166 პუნქტში (ლორთქიფანიძე, 2001: 192-194). აქედან საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიაზე 149 პუნქტშია გამოვლენილი, ხოლო დანარჩენი 16 კი მის ფარგლებს გარეთაა ცნობილი. ამ ძველ განძებს უნდა დაემატოს ჭუბურხინჯის, ზვანდრიფშის, ფიჩორის (N4 ბორცვი), საკაციას, ილემის და სხვა განძები. აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე აფხაზეთის

საფიქრებელია, რომ ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველად ცენტრებში, რომლებიც საკმაოდ დაშორებულია ზღვისპირა ზოლისგან, უნდა დაემზადებინათ ტრანსპორტირებისთვის უფრო მოსახერხებული ფორმისა და წონის ზოდები. მაგრამ ისმის კითხვა, სანაცვლოდ ზოდებისა რა უნდა მიეღოთ მთის მობინადრეებს ბარის მოსახლეობისგან, რადგან ეს უნდა ყოფილიყო ამ ორ რეგიონს შორის მიმდინარე ჩვეულებრივი გაცვლა-გამოცვლითი პროცესები? იქნებ მარცვლეული კულტურა-ხორბლეულის სახით, რომელიც, როგორც ჩანს, იმდროინდელი კოლხეთის ბარში ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რაც არაერთხელ დადასტურდა არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვითაც. ანდა შესაძლოა კალა, რომლითაც მთა ბართან შედარებით უფრო ძნელი მოსამარაგებელი უნდა ყოფილიყო. არ უნდა გამოვრიცხოთ ბარის მოსახლეობისგან გაცვლა-გამოცვლების პროცესებში ჩართული ყოფილიყო ქვის მძივ-სამკაულების დასამზადებელი ნედლეული მასალებიც, რომელთა საწარმოო სახელოსნოები ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე ცნობილია ძვ. წ. VIII-VII სს-ებში (მუხურჩის ნაწისქვილარი, ნოქალაქევი, ოჩხომური, შესაძლოა ბანძაც) (გოგაძე და სხვ 2010: 160-167). ყოველ შემთხვევაში ეს უნდა ყოფილიყო მთის მოსახლეობისთვის მეტად საჭირო ნივთი.

კოლხეთის მთისა და ბარის მოსახლეობას შორის გაცვლა-გამოცვლების მიმდინარეობისას, როგორც გადახდის ექვივალენტი, სპილენძის ზოდების გარდა, შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო ბრინჯაოსგან დამზადებული რაიმე სხვა სახის არტეფაქტი. იქნებ სულაც განსხვავებული ფორმის სპილენძის ზოდები. ამ მხრივ საყურადღებია ქვიშარის, ცხინვალისა და მეხჩის ციხის განძებში შემავალი ბრინჯაოს დიდი ზომის მასიური რგოლები, რომელთაც საეჭვოა პრაქტიკული დანიშნულება ჰქონოდათ. იქნებ ეს არტეფაქტები ზოდის ფუნქციის მატარებელი-გადახდის ერთგვარი ექვივალენტი ყოფილიყო (ა. იესენი, ო. ჯაფარიძე და სხვ.) (ჯიბლაძე, 2016: 55).[18]

კოლხეთის დაბლობზე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ხელოვნურად გამართული ბორცვების, მდინარისპირა დაბლობ ადგილებში არსებულ, ღია გაუმაგრებელი ტიპის ნამოსახლარების (მდ. ტეხურისპირა I, II, სადაზვერვო მოედნები, სოფ. ჭალადიდის საბაჟოს I, II უბნები, სოფ. ყულევის უბანი); ზღვისპირა ზოლში გამოვლენილ დიუნური სადგომების გვერდით, ჩნდება ახალი ტიპის ძეგლები - მრავალდარგოვანი საწარმოო ნამოსახლარები (ოჩხომური, მუხურჩის ნაწისქვილარი, ნოქალაქევი) (Апакидзе, 1991: 14-16; აფაქიძე, 2001: 14-

ტერიტორიაზე არსებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები სრულყოფილად აქვთ გამოცემული (აფაქიძე, 2006: 66-87).

[18] ზოგჯერ ბრინჯაოს სეგმენტს თვლიან გაცვლის ერთეულად, რომელთა ფუნქციონალური დანიშნულება, მიუხედავად გამოთქმული მრავალი მოსაზრებებისა, მაინც ბოლომდე გარკვეული არ არის.

31; გოგაძე და სხვ. 2010: 160-167).[19] აღსანიშნავია, რომ მძივების საწარმოო სახელოსნოები სრულიად ახალი თემაა ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში, რომლის შესწავლაში და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანაში დიდი დამსახურება მიუძღვით ელ. გოგაძეს, ც. დავლიანიძეს, ლ. ფანცხავას, ჯ. აფაქიძეს, დ. ლომიტაშვილს (ელ. გოგაძე და სხვ. 2010: 160-167; აფაქიძე, 2001: 14-31).

კოლხეთის დაბლობზე ადრერკინის ხანაში (ძველკოლხური II ეტაპი), ჩნდება მსხვილი დაბური ტიპის კომპაქტური დასახლებები, რომლებიც ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. მიაჩნიათ, რომ ისინი პროტოქალაქურ დასახლებებს წარმოადგენდენ (ჩავლეიშვილი, 1999:32; აფაქიძე, 2001: 23). აღნიშნულ ეპოქაში ხელოსნური წარმოება მაღალ დონეს აღწევს. წარმოიქმნება ახალი სპეციალიზებული დარგები, რომლის ძირითადი თავისებურება იყო ინტენსიური და მრავალდარგოვანი ხელოსნური წარმოება. ჩნდება საწარმოო ნამოსახლარები, რომლებიც გამოირჩევიან იმითაც, რომ ხელოსნობის სხვა დარგებთან ერთად დასტურდება ფერადი ქვების, საწარმოო სახელოსნოები. მძივების საწარმოო სახელოსნოებში საუველირო საქმის დარგის განვითარებასთან დაკავშირებული, ნივთების აღმოჩენის ფაქტები შრომის დიდ საზოგადოებრივ დანაწილება-ორგანიზაციას და პროფესიონალ ხელოსანთა არსებობას გულისხმობს (ლომიტაშვილი, 2003: 53). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნედლეულის მომპოვებული საზოგადოება ცალკე არსებობდა, შემდეგ კი იწყებოდა მძივების დამუშავებისა და დამზადების უაღრესად რთული ტექნოლოგიური პროცესი, ქვის ფორმირება, გახეხვა-გაპრიალება, გახვრეტა, რეალიზაცია (ლომიტაშვილი, 2003: 55). ამ სამუშაოებს კი აწარმოებდა საზოგადოების მეორე ნაწილი.

როგორც შენიშნავენ დამზადებული პროდუქცია (მაგალითად სამძივე ნედლეულის მასალის მხრივ) არ უნდა ყოფილიყო გამიზნული მარტო შიდა მოხ-

[19] საქართველოს ტერიტორიაზე მძივების საწარმოო სახელოსნოები ცნობილია მხოლოდ კოლხეთის დაბლობის ტერიტორიიდან, დაახლოვებით ერთ ქრონოლოგიურ პერიოდში-ადრერკინის ხანაში მუხურჩის „ნაწისქვილარი“ (მარტვილის მუნიციპალიტეტი, ითხრებოდა 1982-1988 წწ.), სოფ. ოჩხომურის მძივების საწარმოო სახელოსნო (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, ითხრებოდა 1984-1988 წწ). ანალოგიური მძივების საწარმოო სახელოსნო გამოვლინდა სენაკის მუნიციპალიტეტში, ნოქალაქევის ნამოსახლარის ერთ-ერთ უბანზე, გალავნებშორის მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ითხრებოდა 1982-1985 წლებში (გოგაძე და სხვ. 2010: 160-167; აფაქიძე, 2001: 14-31; ლომიტაშვილი, 2002: 87-97; Гогадзе и друг. 1990: 226-233). ამ ძეგლზე სამუშაოები არ დასრულებულა. დიდი ალბათობით მძივების საწარმოო სახელოსნოები კოლხეთის სხვა ადგილებშიც უნდა არსებულიყო. თუმცა ამ მხრივ ჯერჯერობით რაიმე ხელიშესახები მასალები არ მოგვეპოვება.

მარებისათვის, არამედ იგი წარმოადგენდა ექსპორტის საგანს, როგორც საკუთრივ კოლხეთის სხვა მხარეებისათვის, ასევე თანადროული პერიოდის შედარებით ახლოს მდებარე აღმოსავლეთი რაიონებისათვისაც (გასაცვლელ-გასაყიდი საქონლის) (აფაქიძე, 2001: 14; ლომიტაშვილი, 2002: 95; Гогадзе и друг. 1990: 226-233). ამ გამოთქმულ მოსაზრებას იზიარებს ზოგიერთი მკვლევარი (ლანჩავა, 2015: 43).

მძივების საწარმოო სახელოსნოებიდან ნედლეული მასალების (შესაძლოა დამზადებული მძივების სახითაც) მომარაგება შედარებით მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო ახლოს მდებარე ტერიტორიების მოსახლეობისათვის. თითაქოსდა ეს ფაქტი კარგად უნდა ჩანდეს კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნებზე ზოგიერთი ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან დამზადებული მძივების სახით. ასეთი მეორადი დაკრძალვის სამაროვანი აღმოჩენილია სოფ. მუხურჩის ტერიტორიაზე (Гогадзе, 2017: 117-136). ასევე შემთხვევითი აღმოჩენილი ცალკეული სამარხები ცნობილია მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (გურძემი, სალხინო, ვედიდკარი-მახათი, ნახუნაო, ნალეფსაო, ლეჭე, კურზუ), რომლებიც არ გათხრილა და სრული სურათი არ ჩანს (აფაქიძე, 1988: 46-52); წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (პალური, ჯვარი), გალში (ფიჩორი, ჭუბურხინჯი), სენაკში (ნოსირის სამარხეული ინვენტარი). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში საკმაოდ ინტენსიურობით გვხვდება კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნები (სოფ. ერგეტის ოთხი სამაროვანი, დღვაბა, ცაიში), სადაც დიდი რაოდენობით დასტურდება სხვადასხვა ნედლეულისაგან დამზადებული მძივები (პაპუაშვილი, 2022). მაგალითად, ერგეტის ოთხივე სამაროვანზე აღმოჩენილია დაახლოებით 50000 რაოდენობის სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივი (არქეოლოგ რ. პაპუაშვილის ცნობის თანახმად), სადაც ჭარბობს სარდიონისაგან დამზადებული მძივები.[20] დიდი ალბათობით ასეთი დიდი რაოდენობის მძივები მზადდებოდა ოჩხომურის, მუხურჩის „ნაწისქვილარის“, ნოქალაქევისა და სხვა ამგვარ სპეციალიზირებულ მძივების საწარმოო სახელოსნოებში, რომლებიც კოლხეთში სხვა ადგილებშიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. საინტერესოა, რომ საწარმოო-ნამოსახლარებისა და მეორადი დაკრძალვის სამაროვნების არსებობის ქრონოლოგიური დიაპაზონი ძირითადად ერთმანეთს თანხვდება (ძვ. წ. VIII-VI სს-ები). მისანიშნებელია ის გარემოებაც, რომ თითქმის ამავე პერიოდში ჩნდება სარდიონის მძივების განძებად ჩაფლვის ტრადიცია: ნოსირი, ნაგვაზაო, ფარცხანაყანები, ეშერა (Гогадзе, 1987: 233; მგელიაშვილი, 1991: 24). ეს ის პერიოდია, როდესაც კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე განსაკუთრებით მრავლდება მოსახლეობა. იქნებ მათი რაოდენობის ერთგვარი მარკერი იყოს ამ ტიპის

[20] ცაიშის სამაროვანზე ყველა სახეობის მძივების გადათვლა ვერ მოახერხეს, თუმცა მათი საერთო წონა აღწევდა 16 კილოგრამს.

სამაროვნებზე დაკრძალული მიცვალებულები, სხვადასხვა ხასიათის ბრინჯაოსა და რკინის მრავალრიცხოვანი არტეფაქტები, მათ შორის მძივები.

დასკვნა. კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილის მძივების საწარმოო ნამოსახლარები ეფუძნებოდა ადგილობრივი მდიდარი ნედლეულის ბაზას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მათი გამიზნული განლაგება ისეთი მდინარეების სანაპიროებზე (მდ. აბაშა, ტეხური, ოჩხამური), რომელთა ხეობები მდიდარია ფერადი ქვების საბადოებით (მინერალური ნედლეულით) (გოგაძე და სხვ. 2010: 163). მათ ახასიათებთ ხელოსნური ნაშთების ინტენსივობა, მთელი მოსახლეობის წარმოებაში ჩაბმა, სადაც დადასტურებული სხვადასხვა ქვის იარაღ-ინსტრუმენტების მრავალრიცხოვანი აღმოჩენები მიუთითებენ წარმოების დიდ მასშტაბებზე, ფართო რეგიონალურ სავაჭრო-კომერციულ, გაცვლით ურთიერთობებზე და კავშირებზე. როგორც ჩანს, კოლხეთის დაბლობზე მძივების საწარმოო სახელოსნოების წარმოშობა განაპირობა ადრერკინის ხანაში რეგიონებს შორის ინტენსიური კავშირურთიერთობათა გაღრმავებამ.

სამძივე ნედლეულის დამუშავება რომ ადგილზე ხდებოდა, კარგად ჩანს გათხრილ კულტურულ ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი კვარც-აქატ-ქალცედონის ჯგუფის ნედლეულის მასალითა და წარმოების ნაშთებით. ამ ტიპის ძეგლების უნიკალურობა გამოიხატება იმაშიც, რომ კულტურულ ფენაში ნედლეულ მასალასთან ერთად (სხვადასხვა შეფერილობის, სარდიონის, ქალცედონის, იასპის, კვარცის, აქატის, მთის ბროლის, თეთრი, ფერადი კაჟისა და სხვადასხვა ჯიშის ქვის ნატეხები, მძივების ნამზადები, მათ შორის დასრულებული ნიმუშების), მრავლად აღმოჩნდა მძივების დასამზადებელი იარაღ-ინსტრუმენტები; მოზრდილი თუ საშუალო ზომის სხვადასხვა ჯიშის მასალები (აფაქიძე, 2001: 21; გოგაძე და სხვ 2010: 160-167): სანაყები,რიყის ქვის რბილი ფხენადი და თხუპნია ზედაპირიანი ქვის გრდემლები, მცირე ზომის გრდემლები და ფიქსატორები, საპრიალები ქვები, თეთრი სახეხი ქვები, რომელთა უმრავლესობას კარგად ეტყობა ხმარების კვალი, ცალ ბოლოსთან წაწვეტებული სადგისის თუ სახვრეტის წვერით. რაც მიიღებოდა ნამზადებისა და ნახევარნამზადების ძირითად ფორმის მიღწევის შემდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა

ადამია (1979): ალ. ადამია, კოლხური წნული სახლები, ძმ, N49, თბილისი;

ავალიშვილი (1994): გ. ავალიშვილი, საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა და სატომთაშორისო ურთიერთობანი ლითონის ხანაში, სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი;

აფაქიძე (1988): ჯ. აფაქიძე, ცენტრალური კოლხეთის არქეოლოგიური რუკა (ძვ. წ. XVI-XVსს.) (სამაროვნები, განძები, მეტალურგიული სახელოსნოები), ძმ, N3, თბ-ლისი;

აფაქიძე (2001): ჯ. აფაქიძე, კოლხური კულტურის საწარმოო-ნამოსახლარების დათარიღებისათვის, ძიებანი, 10, თბილისი;

აფაქიძე (2001ა): ჯ. აფაქიძე, კოლხეთის გვიანბრინჯაო და რკინის ხანის დასახლებათა ტიპოლოგიური და ქრონოლიგიური კლასიფიკაციის საკითხები, კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი VI, დამატება), თბილისი;

აფაქიძე (2006): ჯ. აფაქიძე, აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები, აფხაზეთი, I, თბილისი;

ბარამიძე (1998): მ. ბარამიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები), სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი;

ბარამიძე (2017): მ. ბარამიძე, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი;

გამყრელიძე (1982): გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბილისი;

გამყრელიძე (2020): გ. გამყრელიძე, სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის, ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი „არქეოლოგია“, N3, თბილისი;

გეგეშიძე (1953): მ. გეგეშიძე, წყლის ტრანსპორტი დასავლეთ საქართველოში (რიონის აუზი), მიმომხილველი N3, თბილისი;

გოგაძე, დავლიანიძე, ფანცხავა, ლომიტაშვილი (2010): ელ. გოგაძე, ც. დავლიანიძე, ლ. ფანცხავა, დ. ლომიტაშვილი, ქვის საწარმოო ნამოსახლარები კოლხეთიდან, „ძიებანი“, N19, თბილისი;

გრიგოლია (1971): გ. გრიგოლია, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ, თბილისი;

გრიგოლია (1992): გ. გრიგოლია, ქართული არქეოლოგიისა და საისტორიო გეოგრაფიის ძირითადი პრობლემები, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი;

გრიგოლია (1994): გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბილისი;

თოდუა (2005): თ. თოდუა, რკინის ხერხები და ბარები დედოფლის გორის არქეოლოგიური მასალიდან, „იბერია-კოლხეთი“, N5, თბილისი;

ინანიშვილი, ჯიბლაძე (2019): გ. ინანიშვილი, ლ. ჯიბლაძე, ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის, თბილისი;

ინაძე (1994): მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბილისი;

ლანჩავა (2015): ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი;

ლომიტაშვილი (2002): დ. ლომიტაშვილი, ნოქალაქევი-I, საწარმო-ნამოსახლართა კულტურა (მძივების დასამზადებელი სახელოსნო ნოქალაქევიდან, კოლხურ-ეგვიპტური ანალოგები), კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XIII, თბილისი;

ლომიტაშვილი (2003): დ. ლომიტაშვილი, ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VII ახ. წ. VIII სს. (ციხეგოჯი, არქეოპოლისი, ნოქალაქევი), სადოქტორო დისერტაცია, თბილისი;

ლორთქიფანიძე (1986): ოთ. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბილისი;

ლორთქიფანიძე (1999): ოთ. ლორთქიფანიძე, ოქრომრავალი კოლხეთი, სამეგრელო, თბილისი-ზუგდიდი;

ლორთქიფანიძე (2001): ოთ. ლორთქიფანიძე, განძები კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა), კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი VI, დამატება V), თბილისი;

ლორთქიფანიძე (2002): ოთ. ლორთქიფანიძე, ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი;

მგელიაშვილი (1991): თ. მგელიაშვილი, საქართველოს გეოარქეოლოგია, თბილისი;

მუსხელიშვილი და სხვები (2010): დ. მუსხელიშვილი, ლ. ჯიბლაძე, ლ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი, ნაკლია II , თბილისი;

ნიორაძე (1941): გ. ნიორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიმკის მოამბე, X, თბილისი;

პაპუაშვილი (2014): რ. პაპუაშვილი, ი. პაპუაშვილი, შავი ზღვის პალეორეჟიმი და მისი გავლენა კოლხეთის დაბლობის დასახლებებზე (ძვ. წ. III-I ათასწლეულებში), თბილისი;

პაპუაშვილი (2006): რ. პაპუაშვილი, ი. პაპუაშვილი, ნამარნუ (ძვ. წ. II-I ათასწლეულების ძეგლები), გურია IV, თბილისი;

პაპუაშვილი, ჯიქია, ქობალია, პაპუაშვილი (2022): რ. პაპუაშვილი, ლ. ჯიქია, ნ. ქობალია, ი. პაპუაშვილი, ერგეტა (სამაროვნები), თბილისი;

რამიშვილი (1974): ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი;

ყაუხჩიშვილი (1965): თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატეს ცნობებები საქართველოს შესახებ, ჰაერთა წყალთა და ადგილთა შესახებ, თბილისი;

ჩავლეიშვილი (1999): ი. ჩავლეიშვილი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერთა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი;

ჩართოლანი (1996): შ. ჩართოლანი, ძველი სვანეთი, თბილისი;

ჩიქოვანი (2000): თ. ჩიქოვანი კოლხეთის ზღვისპირეთის უძველესი დასახლებების მოდელი, ძიებანი 6, თბილისი;

ხახუტაიშვილი (1986): ნ. ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში. სდსძ, XV, თბილისი;

ხოშტარია (1945):ნ. ხოშტარია; სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა სმამ, ტ, VII, 1-2, თბილისი;

ფხაკაძე (1993): გ. ფხაკაძე, დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში, თბილისი;

ძიძიგური (1994): ლ. ძიძიგური, ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, თბილისი;

ძიძიგური (2000): ლ. ძიძიგური, ამიერკავკასიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა (იარაღი, ნეოლით-ადრერკინის ხანა), თბილისი;

ჯაფარიძე (1982): ო. ჯაფარიძე, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 1-2, თბილისი;

ჯიბლაძე (1997): ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია პერიოდიზაცია (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მასალების მიხედვით), თბილისი;

ჯიბლაძე (2001): ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი პრობლემური საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, კრებული გურია III, *„მეცნიერება"*, თბილისი;

ჯიბლაძე (2007): ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბილისი;

ჯიბლაძე და სხვ. (2021): ლ. ჯიბლაძე, ბ. მურვანიძე, კ. ჩუბინიშვილი, გულეიკარის ნამოსახლარი, თბილისი, (ელექტრონული ვერსია). განთავსდა ციფრულ ბიბლიოთეკა ივერიელში http://dspace.nplg.gov.ge/handle/123-4/329790;

ჯიბლაძე, პაპუაშვილი (2013): ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, ხელოვნურ ბორცვთა აგებულებისათვის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, 4, 49-B, თბილისი;

ჯიბლაძე (2016): ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის ბრინჯაოს ხანის ხანის განძებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისათვის, *კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე,* კრებული „ამირანი“, 28, ელექტრონული ვერსია, თბილისი;

ჯიბლაძე (2016-ა): ლ. ჯიბლაძე: კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია. *საქართველოს ეროვნული აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,* კრებული „გურია“, N6, თბილისი;

Апакидзе (1991): Д. Апакидзе, Центральная Колхида в эпоху поздней бронзы-раннего железа, Тбилиси;

Андрианов (1969): Б. Андрианов, Древние орисительные системы Приаралья, Москва;

Гогадзе (2017): Э. Гогадзе, К вопросу о хронологии и периодизации памятников Колхидской культуры (по материалам Носири-Мухурчи), იხ. კრებულში მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომები, I, თბილისი, 2017;

Гогадзе, Давлианидзе, Панцхава (1990): Э. Гогадзе, Ц. Давлианидзе, Л. Панцхава, Поселение–Производство-Памиятники нового типа Колхидской Культуры. Причерноморье VII-V вва,до н. Э. Письменные истолчники и Археология, Материалы V Мждународнголго симпозиума по древней истории Причерноморья (Вани 1987), Тбилиси;

Джавахишвили (1973): А. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселении Южного Кавказа V-III тыс. до н.э. Тбилиси;

Куфтин (1950): Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, том II., Тбилиси;

Микеладзе, Хахутаишвили (1985): Т. Микеладзе, Д. Хахутаишвили, Древнее Колхидское поселение Намчедури, Тбилиси;

Микеладзе (1990): Т. Микеладзе, К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы-раннего железа), Тбилиси;

Микеладзе (1994): Т. Микеладзе, Протококская культура, Археология эпохи бронзы на Кавказе и Средней Азии, Москва;

Семенов (1974): С. Семенов, Происхождение земледелия, Москва;

Eurtwängler, Gagoshidze, Löhr, Luddwig (2008): A.Eurtwängler, I. Gagoshidze, H.Löhr, N. Luddwig. Iberia and Rome ,The Excavations of The Palace At Dedplis Gora And The Romans Influence In The Caucasian Klngdom of Iberia, Beier &Beran.